ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის შერჩევის კრიტერიუმები გაცვლით პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალისათვის

კანდიდატის შერჩევა ხდება ერთ ეტაპად, სპეციალურად შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე.

კანდიდატს არჩევს სპეციალურად შექმნილი კომისია, რომლის წევრებიც არიან:

1. მაიკლ ქაუგილი - პრეზიდენტი;
2. ნინო ტორონჯაძე - ვიცე-პრეზიდენტი;
3. კონკრეტული ფაკულტეტის დეკანი (რომელი ფაკულტეტისთვისაც ცხადდება კონკურსი);
4. თამარა მეჭურჭლიშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი.

<u>კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:</u>

1. CV ევროპასის ფორმატში ინგლისურ ენაზე;
2. ინგლისური ენის სერტიფიკატი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
3. ბიომეტრული პასპორტი;
4. მობილობის ხელშეკრულების შევსებული ფორმა.

- **ინგლისური ენა - 50%**

ინგლისური ენის ცოდნა შეიძლება შეფასდეს :

- ინგლისურის საერთაშორისო სერტიფიკატით (Test of English as a Foreign Language- TOEFL);
- International English Language Testing System- IELTS;
- Cambridge English Qualifications;
- Pearson English
- Language Test- PTE Academic;
- B2 დონის ექვივალენტი სხვა სერტიფიკატი.

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი ჯგუფების (ამჟამინდელი ან ადრინდელი) ლექტორებს ინგლისური ენის დამადასტურებელი **ცნობა არ მოეთხოვებათ.**

ინგლისურენოვანი გაცვლითი სტუდენტების ლექტორებს ენის სერტიფიკატი **არ მოეთხოვებათ.**

ინგლისურენოვანი დიპლომის არსებობის შემთხვევაში (ბაკალავრი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), კანდიდატს ენის სერტიფიკატი **არ მოეთხოვება.**

- **შევსებული სააპლიკაციო ფორმა - 20 %**

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შევსებული და მომზადებული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც აკმაყოფილებს გამოცხადებული გაცვლითი პროგრამის მოთხოვნებს (მიმღებ უნივერსიტეტში ყოფნის დროს განსახორციელებელი აქტივობების გეგმა).

- **დეკანის რეკომენდაცია - 30%**

არ მოითხოვება დეკანის წერილობითი რეკომენდაცია. დეკანი წარადგენს თავის რეკომენდაციას სპეციალურად შექმნილ შერჩევის კომისიასთან.

ყურადღება: *კანდიდატი უნდა იყოს სრულად აცრილი კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით!*